




საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო



წლიური ანგარიში 2025

სარჩევი

აბრევიატურები და ტერმინები	4
სააგენტოს თავმჯდომარის მიმართვა	7
სააგენტოს მისია, ხედვა და სტრატეგიული პრიორიტეტები	8
სააგენტოს სტრუქტურა და საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები	9
სააგენტოს ბიუჯეტი	10

I მიმართულება: ტექნოლოგიური და ინოვაციური საზოგადოების

განვითარება	15
ტექნოპარკები	17
ტრენინგები და ვორქშოპები	18
ჰაკათონი	19
კონკურსები	20
ფაბლაბის აქტივობები	21
ტექნოლოგიური კვირეულები და ბანაკები	22
ლონისძიებები	22
საგანმანათლებლო ინსტიტუტები	23
IT ეკოსისტემა	24

II მიმართულება: სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება

პრე-აქსელერაცია	36
სტარტაპ ინკუბატორი	38
ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის	39
თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა	41
ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის პროგრამა	43
500 აქსელერაცია და ვენჩურული ფონდი	46
ანგელოზ ინვესტორთა ქსელი	47
ინოვაციური სტარტაპის სტატუსი	48
STARTUP IN GEORGIA	49

III მიმართულება: R&D ეკოსისტემის განვითარება

ტექნოლოგიების გადაცემის ოფისი	52
ინოვაციური SME და R&D კომპანიის სტატუსები	54

2026 წლის სტრატეგიული ხედვა	56
-----------------------------------	----

აბრევიატურები და ტერმინები

- **AI** - Artificial Intelligence (ხელოვნური ინტელექტი)
- **AXEL** - Georgia's Business Angel Network (საქართველოს ბიზნეს-ანგელოზ ინვესტორთა ქსელი)
- **BRL** - Business Readiness Level (ბიზნეს მზაობის დონე)
- **GENIE** - Georgia National Innovation Ecosystem (საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტი, მსოფლიო ბანკი)
- **GITA** - Georgia's Innovation and Technology Agency - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- **ICT** - Information and Communication Technology (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია)
- **IPRL** - Intellectual Property Readiness Level (ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მზაობის დონე)
- **IT** - Information Technology (ინფორმაციული ტექნოლოგია)
- **MoU** - Memorandum of Understanding (ურთიერთგაგების მემორანდუმი)
- **MVP** - Minimum Viable Product (მინიმალური სიცოცხლისუნარიანი პროდუქტი)
- **NAPR** - National Agency of Public Registry (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო)
- **R&D** - Research and Development (კვლევა და განვითარება)
- **SME** - Small and Medium-sized Enterprise (მცირე და საშუალო ზომის საწარმო)
- **STEAM** - Science, Technology, Engineering, Arts, and Mathematics (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა)
- **TRL** - Technology Readiness Level (ტექნოლოგიური მზაობის დონე)
- **VC** - Venture Capital (ვენჩურული კაპიტალი)
- **აპლიკაცია** - პროგრამაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი სააპლიკაციო განაცხადი. ერთი პირი შეიძლება ფლობდეს რამდენიმე აპლიკაციას სხვადასხვა კურსზე
- **აპლიკანტი** - ფიზიკური პირი, რომელმაც წარადგინა სააპლიკაციო განაცხადი პროგრამაში მონაწილეობის მიზნით
- **მონაწილე** - შერჩეული და პროგრამაში ჩარიცხული პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სასწავლო პროცესში, მიუხედავად სწავლის დასრულების სტატუსისა
- **ბენეფიციარი** - პროექტის მონაწილე პირი, რომელმაც შეასრულა დადგენილი მოთხოვნები და წარმატებით გაიარა კურსი
- **პროგრამა** - ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებათა ერთობლიობა გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად
- **პროექტი** - განსაზღვრული ვადებისა და შედეგების მქონე აქტივობა, რომელიც პროგრამის ფარგლებში ხორციელდება
- **აქტივობა** - პროექტის მიზნების მიღწევისთვის განხორციელებული კონკრეტული სამუშაო ან ღონისძიება
- **სტარტაპი** - ახლადშექმნილი კომპანია ან გაერთიანება, რომელიც ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის შექმნით სწრაფ ზრდასა და მასშტაბირებას ისახავს მიზნად, და გამოირჩევა მცირე ბიზნესისგან გლობალური გაფართოების პოტენციალით

შესავალი

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) 2025 წლის საქმიანობის ძირითად შედეგებს და მოიცავს სააგენტოს სამსტრატეგიულ მიმართულებას: ტექნოლოგიური და ინოვაციური საზოგადოების განვითარებას, სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებას და კვლევისა და განვითარების (R&D) ეკოსისტემის პროგრესს.

2025 წელი სააგენტოსთვის მნიშვნელოვანი წინსვლისა და გარდამტეხი ინიციატივების წელი იყო. წლის განმავლობაში სააგენტოს 9 ტექნოპარკის ბაზაზე განხორციელებული პროგრამებითა და სერვისებით ისარგებლა 17.000-ზე მეტმა ადამიანმა. ამავე პერიოდისთვის სააგენტოს სტარტაპ პორტფელში დაფინანსებული პროექტების რაოდენობამ 420-ს მიაღწია.

საანგარიშო წელს განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და პროგრამული ინიციატივა. პირველი უკავშირდება „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა სამი ახალი სტატუსი: ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოს (SME) და კვლევისა და განვითარების (R&D) მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსი. აღნიშნული სტატუსების მქონე სუბიექტებისთვის გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები, რაც მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობისთვის.

მეორე ინიციატივა გულისხმობს ახალი „ინოვაციური სტარტაპის აქსელერაციის“ პროგრამის ამოქმედებას, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო აქსელერატორების წამყვანი ექსპერტები ადრეულ ეტაპზე მყოფ სტარტაპებს განვითარების ყველა ეტაპზე გაუწევენ მენტორინგს. პროგრამის მიზანია ქართული სტარტაპების მასშტაბირების ხელშეწყობა და ქვეყნის პოზიციონირება გლობალურ სტარტაპ ეკოსისტემაში.

ასევე აღსანიშნავია ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის ინფრასტრუქტურული განვითარება, რომელიც პარლამენტის ყოფილ შენობაში ხორციელდება და რომლის გახსნაც 2026 წელს არის დაგეგმილი. აღნიშნული ჰაბი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ტექნოლოგიური პოტენციალის გეოგრაფიულ გაფართოებას.

ახალი ინიციატივები და უკვე არსებული პროგრამები ანგარიშში სტრუქტურირებულია სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით, თითოეულ ნაწილში კი წარმოდგენილია პროგრამების დეტალური აღწერა და მათი სტატისტიკური ანალიზი.

სააგენტოს თავმჯდომარის მიმართვა

2025 წელი საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური გაძლიერებისა და სისტემური განვითარების ეტაპი იყო. გლობალური ეკონომიკური და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციების ფონზე, სააგენტომ თანმიმდევრულად გააგრძელა ცოდნაზე, ინოვაციაზე და ადამიანურ კაპიტალზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებაზე, რეგიონული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და მოქალაქეთა ჩართულობის ზრდაზე ციფრული კომპეტენციების მიმართულებით. რაც ერთიანობაში ქმნის მდგრადი ტექნოლოგიური ზრდის საფუძველს.

ეკოსისტემის გაძლიერების ლოგიკური გაგრძელება გახდა აქსელერაციის ახალი პროგრამის დაწესება, რომლის ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩა ოთხი საერთაშორისო აქსელერატორი. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს სტარტაპებისა და ინოვაციური იდეის მქონე პირების სისტემურ გადამზადებას, მენტორინგს და ბაზარზე გასვლის პროცესში პრაქტიკულ მხარდაჭერას. პროგრამა მიმართულია არა მხოლოდ იდეის დახვეწაზე, არამედ მის კომერციულ სიცოცხლისუნარიანობაზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქართული ტექნოლოგიური პროდუქტების კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

სტარტაპების მხარდაჭერის ინსტიტუციური გაძლიერება პარალელურად გამყარდა სამართლებრივი გარემოს დახვეწით. საანგარიშო წელს მიღებულ იქნა „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილება,

რომელმაც შექმნა სპეციალური მექანიზმი იმ კომპანიებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ინოვაციური საქმიანობის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. აღნიშნული სტატუსი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს და ხელს უწყობს კომპანიებში კვლევების განვითარების ხელშეწყობას, რეინვესტირებას, ახალი ინოვაციური პროდუქტების შექმნასა და ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული საკანონმდებლო და პროგრამული ცვლილებებიორგანულად ებმისსაქართველოს სტრატეგიულ მიზანს - ჩამოყალიბდეს რეგიონულ ტექნოლოგიურ ჰაბად, სწორედ ამ ხედვის ფარგლებში 2025 წელს ასევე ამოქმედდა IT ბინადრობის პროგრამა, რომელიც ქმნის ხელსაყრელ გარემოს საერთაშორისო IT პროფესიონალებისთვის. პროგრამა განკუთვნილია როგორც ფრილანსერებისა და დისტანციურად მომუშავე სპეციალისტებისთვის, ისე უცხოური IT კომპანიების თანამშრომლებისთვის და მათი ოჯახებისთვის. სტაბილური ბიზნეს გარემო, საგადასახადო სტიმულები და განვითარებადი ტექნოლოგიური ეკოსისტემა ქმნის სინერგიულ ეფექტს, რომელიც აძლიერებს საქართველოს პოზიციონირებას გლობალურ ტექნოლოგიურ რუკაზე.


ამგვარად, 2025 წელი გამოირჩეოდა არა ცალკეული ინიციატივებით, არამედ ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკებითა და პროგრამებით, რომლებიც ერთიან სტრატეგიულ ჩარჩოში ეწყობა. პროგრამების ეფექტიანობის ზრდა, რეგიონებში შესაძლებლობების გაფართოება, სამართლებრივი გარემოს დახვეწა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს იმ სისტემური ტრანსფორმაციის ნაწილს, რომელიც საფუძველს უყრის ქვეყნის ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ მდგრად განვითარებას.



აჭოანდელ კასრაძე
საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების
სააგენტოს თავმჯდომარე

სააგენტოს ბიუჯეტი

2025 წელს სააგენტოს ბიუჯეტის საერთო მოცულობამ შეადგინა **65 მლნ** ლარი. აღნიშნული აერთიანებს, როგორც სააგენტოს საკუთარ ფინანსურ რესურსებს, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მიღებულ გრანტებს, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით პროგრამებისა და აქტივობების განხორციელებას.



სააგენტოს ბიუჯეტი

2025 წელს სააგენტოს საკუთარი ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა **61 მლნ** ლარი. აღნიშნული თანხა მოიცავს სააგენტოს მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად დაგეგმილი პროგრამებისა და აქტივობების თანხას, ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების მოცულობას.

საანგარიშგებო წელს ბიუჯეტის **96%** ათვისებულია.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები

2025 წელს სააგენტომ საერთაშორისო დონორებისგან გრანტების სახით ჯამში **4 მლნ** ლარი მიიღო. აღნიშნული ფინანსური რესურსები მიმართული იყო კონკრეტული პროგრამებისა და ინიციატივების განხორციელებაზე, რომლებიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და ადგილობრივი ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

საანგარიშგებო წელს ათვისებულია დაგეგმილი ბიუჯეტის 70%.



I. ტექნოლოგიური & ინოვაციური საზოგადოების განვითარება

ტექნოლოგიური და ინოვაციური საზოგადოების განვითარების მიმართულება მიზნად ისახავს ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, ციფრული და ტექნოლოგიური უნარების განვითარებასა და ინოვაციური კულტურის წახალისებას.

აღნიშნული მიმართულება მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს: პირველი - **STEAM და სამეწარმეო მიმართულებით** კვალიფიციური კადრების რაოდენობის ზრდას, ხოლო მეორე - **ინოვაციური საზოგადოების გაძლიერებას** ქვეყანაში.

ამ მიმართულებით სააგენტომ 2025 წელს განახორციელა **100-ზე მეტი პროექტი**, შემდეგი პროგრამების ფარგლებში: ტექნოლოგიური ბანაკები, ტექნოლოგიური კვირეულები, ტრენინგები, ვორკშოპები, მასტერკლასები, ჰაკათონები, კონკურსები და ფაბლაბის დანადგარების გამოყენების შემსწავლელი კურსები.

ინოვაციური საზოგადოების გაძლიერების მიზნით ასევე ჩატარდა **29 შეხვედრა და ღონისძიება**.

სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა ქვეყანაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისა და კომპანიებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სააგენტო **Do IT in Georgia** პროგრამის ფარგლებში ახორციელებს როგორც დამწყები, ისე კვალიფიციური კადრების გადამზადების სხვადასხვა პროგრამას.

ზემოთ აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს ქვეყანაში კვალიფიციური კადრების განვითარებას და უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ტექნოლოგიური კომპეტენციების გაძლიერებას.



II. სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიმართულება უზრუნველყოფს სტარტაპების მხარდაჭერას განვითარების ადრეულ და შუალედურ ეტაპებზე - იდეის ფორმირებიდან და პროტოტიპირების პროცესიდან დაწყებული, ზრდისა და საერთაშორისო მასშტაბირების ეტაპამდე (series A-მდე). აღნიშნული მიმართულება აერთიანებს, როგორც საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამებს, ისე დაფინანსების სხვადასხვა ინსტრუმენტს, რაც სტარტაპებს ეხმარება საკუთარი იდეების სწორად განვითარებასა და ბიზნესის მასშტაბირებაში.

სააგენტო ახორციელებს გადამზადების პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს სტარტაპების მხარდაჭერას იდეის ფორმირების, პროდუქტის განვითარებისა და ბაზარზე გასვლის ყველა ეტაპზე. ამ მიმართულებით სააგენტო იდეის ეტაპზე მყოფი სტარტაპებისთვის ახორციელებს **პრე-აქსელერაციისა და სტარტაპ ინკუბატორის პროგრამას**, რომელიც უზრუნველყოფს დამწყები სტარტაპების მხარდაჭერასა და მათი განვითარების ხელშეწყობას. უფრო მოგვიანებით ეტაპზე სააგენტო 500 Global აქსელერატორის მეშვეობით ახორციელებს მათ გადამზადებასა და მათ გლობალურ ბაზარზე გასვლის ხელშეწყობას.

სტარტაპების დაფინანსებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება რამდენიმე პროგრამა, მათ შორის: **ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის, თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის და ინოვაციური სტარტაპ აქსელერაციის პროგრამა**. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფს სტარტაპების როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ მხარდაჭერას იდეის განვითარების ადრეულ ეტაპიდან, ზრდისა და საერთაშორისო ბაზარებზე გასვლის ეტაპამდე.

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიზნით სააგენტო ასევე ხელს უწყობს **ანგელოზ ინვესტორთა ქსელებისა და ვენჩურული ფონდების** განვითარებას ქვეყანაში. გარდა ამისა, სააგენტო სტარტაპებს ეხმარება **საგადასახადო შეღავათების** მიღების პროცესში, რაც ზრდის ინოვაციური ბიზნესების სწრაფი განვითარებისა და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას.

აღნიშნული მექანიზმები ერთიანად ქმნის დაფინანსებისა და ექსპერტული მხარდაჭერის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ქართული სტარტაპების კონკურენტუნარიანობის ზრდას.



III. კვლევისა & განვითარების ეკოსისტემის გაძლიერება

კვლევისა და განვითარების მიმართულება ფოკუსირებულია სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის კომერციალიზაციაზე და ინოვაციური ცოდნის ეკონომიკურ ღირებულებად გარდაქმნაზე. აღნიშნული მიმართულებით სააგენტო ახორციელებს **ტექნოლოგიების გადაცემის ოფისის პროგრამას**, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო შედეგების პრაქტიკაში დანერგვას და მათ ინტეგრაციას ეკონომიკაში.

ამასთანავე, სააგენტო სხვადასხვა **საგადასახადო ინიციატივებით** უწყობს ხელს ქვეყანაში კვლევისა და განვითარების საქმიანობის წახალისებას, როგორც კვლევითი ორგანიზაციების, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობით. აღნიშნული


მექანიზმები მიზნად ისახავს კვლევისა და განვითარების დანახარჯების ზრდას ქვეყნის ეკონომიკაში, მათ შორის **მშპ-ში მათი წილის გაზრდას**, ასევე ახალი იდეებისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების წარმოქმნას, რომლებიც საფუძვლად დაედება ახალი სტარტაპებისა და ინოვაციური ბიზნესების განვითარებას.

სამივე პრიორიტეტული მიმართულება ურთიერთკოორდინაციით ქმნის მდგრად და შედეგზე ორიენტირებულ ინოვაციურ ეკოსისტემას, რომელიც აძლიერებს ქვეყნის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.


 ტექნოლოგიური & ინოვაციური საზოგადოების განვითარება



 სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება



 R&D ეკოსისტემის გაძლიერება



ტექნოლოგიური და ინოვაციური საზოგადოების განვითარება

სააგენტო შექმნის დღიდან ორიენტირებულია ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის გაძლიერებასა და ინოვაციური კულტურის ფორმირებაზე. მისი მიზანია ტექნოლოგიური უნარების განვითარება, პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება და სამეწარმეო აზროვნების წახალისება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ამ მიზნის მისაღწევად მიმართულება ორ ძირითად კომპონენტად იყოფა: **ტალანტების ბაზა** და **საზოგადოების გაძლიერება**.



ტალანტების ბაზა თავის მხრივ მოიცავს ორ ქვემიმართულებას - ე.წ. **სტუდენტები** და **ანტრეპრენერები**. სტუდენტების ქვემიმართულება ფოკუსირებულია ტექნიკური კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებაზე და აერთიანებს ტრენინგებსა და ვორქშოპებს. ანტრეპრენერების ქვემიმართულება კი ორიენტირებულია სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებაზე და მოიცავს ჰაკათონებსა და კონკურსებს. ორივე მათგანი კი ფარავს ტექ-კვირეულებს, ბანაკებს და ფაბლაბის პროგრამებს.

საზოგადოების გაძლიერება ორიენტირებულია ფართო ტექნოლოგიური ნეთვორქის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში და მოიცავს ლონისძიებებს, საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობასა და ტექნოპარკების ჩართულობას.

2025 წლის განმავლობაში GITA-ს 9 ტექნოპარკში, 107 უნიკალური პროექტისა და 229 აქტივობის ფარგლებში, 5,600 მონაწილიდან 5,365-მა წარმატებით დაასრულა პროგრამა - მათ შორის ქალების წილი როგორც მონაწილეთა, ისე ბენეფიციართა შემადგენლობაში 53%-ს შეადგენს.

ტექნოპარკები

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აერთიანებს 9 ტექნოპარკს ხუთ რეგიონში და თბილისში. თითოეულ ტექნოპარკში განთავსებულია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (ფაბლაბი), სადაც კვალიფიციური სპეციალისტები დაინტერესებულ პირებს ეხმარებიან ინოვაციური იდეების განვითარებასა და პროტოტიპების შემუშავებაში.

ტექნოპარკი დაინტერესებულ პირებს მრავალფეროვან ინფრასტრუქტურას სთავაზობს: საერთო სამუშაო სივრცეს (co-working) სტარტაპებისა და ფრილანსერებისთვის, სატრენინგო და საკონფერენციო სივრცეებს, კომპანიებისთვის ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეებს.

ამასთან ერთად დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინფო ტურით, რომელიც სააგენტოს საქმიანობისა და განხორციელებული და დაგეგმილი პროგრამების გაცნობას ითვალისწინებს.

2025 წელს ტექნოპარკის მიერ შეთავაზებული პროგრამებითა და სერვისებით ისარგებლა 17,600-მა მოსარგებლემ (აქედან ქალი - 55%). აღნიშნული მოსარგებლები ჩართულები იყვნენ ტექნოლოგიური და ინოვაციური საზოგადოებისა და სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით განხორციელებულ პროგრამებში ან საანგარიშგებო წელს ისარგებლეს ტექნოპარკის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისებით.


ტრენინგები და ვორქშოპები

ტრენინგები და ვორქშოპები მიზნად ისახავს ტექნოლოგიური, ციფრული და ინოვაციური მეწარმეობის კომპეტენციების სისტემურ განვითარებას სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებში. პროგრამები ხორციელდება STEAM, ICT, ხელოვნური ინტელექტის და ინოვაციური მეწარმეობის მიმართულებებით. სწავლება ეფუძნება პრაქტიკულ დავალებებს, რეალურ ქეისებს და გუნდურ მუშაობას - ასე მონაწილეები მოკლე დროში იძენენ კონკრეტულ კომპეტენციებს და ემზადებიან გრძელვადიანი პროგრამებისთვის, მათ შორის ინკუბაციისა და საგრანტო მხარდაჭერისთვის.

ტრენინგებისა და ვორქშოპების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის პროექტები:

- ტექნოპარკების ბაზაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური ტრენინგები;
- ფაბლაბ ლაბორატორიებში პრაქტიკული საინჟინრო და პროტოტიპირების კურსები;
- ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიკის თემატური ვორქშოპები;
- ინოვაციური მეწარმეობისა და სტარტაპ იდეების ფორმირების ტრენინგები;
- ციფრული უნარების მოკლევადიანი მოდულები ახალგაზრდებისა და სტუდენტებისთვის;
- ტრენინგები ტრენინგის პროგრამები, რაც უზრუნველყოფს ცოდნის მულტიპლიკაციას რეგიონებში.

პროგრამის ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა **52 უნიკალური პროექტი**, რომელმაც გააერთიანა **107** აქტივობა, სადაც სულ **1,370 მონაწილე** ჩაერთო. აქტივობების მაღალი ჩართულობის მაჩვენებელი კიდევ უფრო ნათლად იკვეთება ბენეფიციართა სტატისტიკაში, მონაწილეთა **96.1%-მა, 1,317-მა ადამიანმა** - მიიღო ბენეფიციარის სტატუსი, საიდანაც 683 გახლდათ ქალი (49.5%). აღნიშნული მიუთითებს სასწავლო პროცესის მაღალ ხარისხზე, გენდერულ ბალანსსა და პროგრამის ეფექტიანობაზე.




ჰაკათონი

ჰაკათონები აერთიანებს ახალგაზრდებს, სტუდენტებს, დამწყებ მეწარმეებსა და ტექნოლოგიურ სპეციალისტებს, რათა გუნდური მუშაობის გზით გადაჭრან კონკრეტული სექტორული გამოწვევები და შექმნან მასშტაბირებადი, კომერციული პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტები. პროგრამა ეფუძნება „learning by doing“ პრინციპს და მოიცავს მენტორინგს, ბიზნეს-მოდელირებას, პროტოტიპირებასა და პროექტების დემო-დღის ფორმატში ჟიურისტის წარდგენას.

საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა **7 ჰაკათონი**, 6 ტექნოპარკში, რომელშიც სულ 362 მონაწილე ჩაერთო; მათგან **356 ვახდა პროგრამის ბენეფიციარი (98.3%)**, მათ შორის 25% ქალი.

ასევე, აღსანიშნავია პროგრამის მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკა - 2024 წლის მონაცემებთან შედარებით, ჰაკათონების რაოდენობა და ჩართული ტექნოპარკების რაოდენობა გაორმაგდა, ხოლო მონაწილეთა რაოდენობა 225%-ით გაიზარდა.




კონკურსები

ინოვაციური კონკურსები ტექნოპარკების ბაზაზე STEAM, ICT და სამეწარმეო მიმართულებებით აერთიანებს მოსწავლეებს, სტუდენტებსა და დამწყებ გუნდებს, რომლებიც შეზღუდულ დროში ამუშავენ აქტუალურ გამოწვევებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. აიდენტიფიცირებენ ტექნოლოგიურ და სამეწარმეო პოტენციალს, ახდენენ იდეების პრეზენტაციას და იღებენ წვდომას შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე.

საანგარიშგებო პერიოდში კონკურსების ფარგლებში განხორციელდა ოთხი განსხვავებული პროგრამა: **Startup Intern**-მა სტუდენტებსა და დამწყებ სპეციალისტებს შესთავაზა რეალური სამუშაო გამოცდილება, მენტორობა და დასაქმების შესაძლებლობა სტარტაპ ეკოსისტემაში; **Tech Sparks** ორიენტირებული იყო სკოლის მოსწავლეებში ტექნოლოგიური და ინოვაციური აზროვნების გამოვლენასა და სტიმულირებაზე; **Technnivate**-მა მონაწილეებს შესთავაზა ტრენინგები, მენტორინგი და დემო დღის ფორმატში ჟიურისთვის წარდგენის შესაძლებლობა ბიზნესსა და ტექნოლოგიებში ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით; **UNI4VERSE** კი უნივერსიტეტებს შორის კონკურსს წარმოადგენდა, რომელიც მწვანე ეკონომიკის გამოწვევებზე რეაგირებასა და სტუდენტებში მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სტარტაპ იდეების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა 4 უნიკალური პროექტი, რომელმაც გააერთიანა 8 კონკურსი 6 ტექნოპარკში. კონკურსებში მონაწილეობა მიიღო 601-მა ადამიანმა, მათგან პროექტის ბენეფიციარი 459 (76%) გახდა.



ტექნოლოგიური კვირეულები და ბანაკები

ტექნოლოგიური კვირეულები და ბანაკები მოსწავლეებსა და სტუდენტებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სთავაზობს ინტენსიურ, პრაქტიკულ გარემოს, სადაც მენტორების მხარდაჭერით მუშაობენ STEAM, ICT, ხელოვნური ინტელექტის და ინოვაციური მეწარმეობის მიმართულებებით, რეალურ ტექნოლოგიურ ამოცანებზე და საბოლოოდ, დემო-დღის ფორმატში წარადგენენ დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულ იდეებს, რითაც ვითარდება როგორც ტექნოლოგიური ინტერესი, ისე პრაქტიკული კომპეტენციები და ინოვაციური აზროვნება.


საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა 26 უნიკალური პროექტი, რაც აერთიანებს 30 აქტივობას, რომლებშიც სულ 1,205 მონაწილე ჩაერთო. მონაწილეთა 98.4%-მა, 1,186-მა ადამიანმა მიიღო ბენეფიციარის სტატუსი, მათ შორის 672 იყო ქალი (56.7%).



ფაბლაბის პროგრამები

ფაბლაბი ტექნოპარკების სამრეწველო ლაბორატორიების ბაზაზე სთავაზობს მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ინოვატორებს, პრაქტიკულ სწავლებას რობოტიკის, ელექტრონიკის, 2D/3D მოდელირების, ციფრული წარმოებისა და საინჟინრო დიზაინის მიმართულებებით, რათა მათ იდეიდან ფუნქციონალურ პროტოტიპამდე სრული ტექნოლოგიური ციკლი გაიარონ და ამ გზით გაძლიერდეს მათი ტექნიკური კომპეტენციები და ჩაეყაროს საფუძველი ტექნოლოგიური მეწარმეობის განვითარებას საქართველოში.

საანგარიშგებო პერიოდში ფაბლაბის ფარგლებში განხორციელდა **5 უნიკალური პროექტი** და 12 აქტივობა 4 ტექნოპარკში, რომლებშიც სულ 151 მონაწილე ჩაერთო. მონაწილეთა 99.3% - **150 ადამიანი გახდა პროგრამის ბენეფიციარი**, მათ შორის 87 იყო ქალი (58%).



ლონისძიებები

საანგარიშგებო პერიოდში ტექნოპარკების ბაზაზე განხორციელდა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოპულარიზაციას, პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიაში: სკოლის მოსწავლეებიდან და სტუდენტებიდან დაწყებული, ფართო საზოგადოებით დამთავრებული. ღონისძიებები მოიცავდა საჯარო ლექციებს, ინტერაქტიულ შეხვედრებს, ვორკშოპებს, დისკუსიის ფორმატებსა და ფორუმებს, რომლებიც ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის, STEAM მიმართულებების, ინოვაციური მეწარმეობისა და პროფესიული უნარების განვითარების თემებს მოიცავდა.

საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა **10 უნიკალური პროექტი**, რომელმაც გააერთიანა 29 აქტივობა 7 ტექნოპარკში. სულ 1,164 მონაწილე ჩაერთო პროგრამაში. მონაწილეთა 98.8%-მა, **1,150-მა ადამიანმა მიიღო ბენეფიციარის სტატუსი**, მათ შორის 714 იყო ქალი (62.1%).



საგანმანათლებლო ინსტიტუტები

საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტების, კოლეჯებისა და სასკოლო სექტორის ინტეგრაციას ტექნოლოგიური და სამეწარმეო განათლების ეკოსისტემაში. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ სტუდენტები, მოსწავლეები და პედაგოგები.

განხორციელებული პროექტები მოიცავდა სამ ძირითად მიმართულებას. პირველი იყო კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამართული **Escape Room**, სადაც მონაწილეები გუნდურად მუშაობდნენ სტარტაპ იდეებისა და ბიზნეს-მოდელის შექმნაზე შეზღუდული დროის ფარგლებში. მეორე მიმართულება იყო hardware პროდუქტის პროტოტიპირების პრაქტიკული კურსი, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდა ხუთი საგანმანათლებლო დაწესებულება - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია და კოლეჯი „აისი“. მესამე მიმართულების ფარგლებში კი ბუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლეები გაეცნენ არდუინოს, ლეგო რობოტიკასა და ფაბლაბის დანადგარებს.

საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა **3 უნიკალური პროექტი**, რომელმაც გააერთიანა 36 აქტივობა 4 ტექნოპარკში, რომლებშიც სულ **747 მონაწილე** ჩაერთო. ყველა მათგანმა მიიღო ბენეფიციარის სტატუსი, მათ შორის 422 ქალმა (56.5%).




IT ეკოსისტემა

საქართველო სტრატეგიული მდებარეობის, განვითარებული ციფრული ინფრასტრუქტურისა და მზარდი IT სამუშაო ძალის საფუძველზე ყალიბდება რეგიონულ ტექნოლოგიურ ჰაბად.

მარტივი საგადასახადო გარემო, განვითარებული ელექტრონული მმართველობა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინოვაციური ეკოსისტემა ქვეყანას სულ უფრო მიმზიდველს ხდის გლობალური ტექნოლოგიური კომპანიებისა და ინვესტორებისთვის.

კერძოდ, IT კომპანიებისთვის საქართველოში მოქმედებს **5%-იანი საგადასახადო განაკვეთი** საშემოსავლო და მოგების გადასახადებზე. სწორედ ამ პირობებმა განაპირობა, რომ 2021 წელს არსებული დაახლოებით **30** საერთაშორისო IT კომპანიის რაოდენობა 2025 წლისთვის **170**-მდე გაიზარდა, ხოლო მათ მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობა **1.2 მლრდ.** ლარს აღწევს შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

მცირე ბიზნესის სტატუსის შემთხვევაში კომპანია იბეგრება 1%-ით, რაც ქვეყანას ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტულ მიმართულებად აქცევს. 2025 წლის მდგომარეობით, IT მიმართულებით რეგისტრირებულია **19,328** მცირე ბიზნესი, რომელთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი **25.1 მლნ.** ლარს შეადგენს შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.



IT ბინადრობის შესახებ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მომუშავე ფრილანსერებს, დისტანციურად მომუშავე სპეციალისტებსა და უცხოური კომპანიების წარმომადგენლებს სთავაზობს 3 წლიან ბინადრობის ნებართვას 12 წლამდე გახანგრძლივების შესაძლებლობით. აღნიშნული ინიციატივა ძალაში 2025 წელს შევიდა და საანგარიშო პერიოდისთვის IT ბინადრობაზე მიღებული განაცხადების რაოდენობამ შეადგინა **177**, ხოლო განსაზღვრული კრიტერიუმები დააკმაყოფილა და სტატუსი მოიპოვა **108** ადამიანმა.

IT განათლების მიმართულებით ინიციატივა აერთიანებს სრულ კარიერულ ციკლს საბაზისო უნარების განვითარებიდან („Code IT“, „5,000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა“), საერთაშორისო სერთიფიცირებამდე და დასაქმების ხელშეწყობამდე. პროგრამის ფარგლებში კურსები ხელმისაწვდომია როგორც თბილისსა და რეგიონებში, ისე ონლაინ ფორმატში, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას.

CODE IT

2023 წელს, სააგენტოს ორგანიზებითა და საქართველოს ბანკის დაფინანსებით, დაიწყო პროექტი „Code IT“. აღნიშნული ინიციატივა სკოლის მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას განვითარდნენ ტექნოლოგიური მიმართულებით. პროექტი ხორციელდება როგორც ტექნოპარკებში, ასევე 7 სხვადასხვა ლოკაციაზე: მესტია, გორი, პანკისი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, რუსთავი და ლაგოდეხი.


პროექტი მიმდინარეობს ფაზების პრინციპით, რაც საშუალებას აძლევს მონაწილეებს თეორიული სწავლებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით დაეუფლონ პროგრამირების საფუძვლებს. თითოეული ფაზა მოიცავს კურსებს შემდეგი სამი მიმართულებით:

- HTML, CSS
- Javascript
- React and next.js

2025 წლის მდგომარეობით, პროგრამის ორი ფაზა სრულად განხორციელებულია, ხოლო მესამე ფაზა მიმდინარეობს და მონაწილეები გადიან გადამზადების ეტაპს HTML, CSS-ის კურსზე.

2023-2025 წლებში, აპლიკანტების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადი შეავსეს პროგრამაში მონაწილეობაზე შეადგენს **1,540**-ს (ქალი - **36%**). სამივე მიმართულებით ორგანიზებული გადამზადების ტრენინგი კი გაიარა **816**-მა მონაწილემ.

პროგრამის საბოლოო ეტაპზე მონაწილეები წარადგენენ ფინალურ პროექტს. აღნიშნული ეტაპი წარმატებით დაასრულა და სერთიფიკატი მოიპოვა **270**-მა ბენეფიციარმა (ქალი - **30%**).




5000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა საბაზისო უნარების განვითარება

2023 წელს დაიწყო „5000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა“, რომლის მიზანია საბაზისო უნარების განვითარება სამი მიმართულებით: პროგრამირება, დიზაინი, მართვა/მხარდაჭერა. 2025 წლის მდგომარეობით, განხორციელებული სამი მიღების ფარგლებში, დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა სრული დაფინანსებით გაეარათ სასურველი კურსი და აემალლებინათ ცოდნა IT მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში, კურსებს ახორციელებს პროვაიდერი კომპანიები, ხოლო კურსები მიმდინარეობს ჰიბრიდულ ფორმატში. თითოეული მიღების ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრულია **1,000** მონაწილით შემდეგი განაწილებით: პროგრამირება - 500, დიზაინი - 300, მართვა/მხარდაჭერა - 200.

2025 წლის მდგომარეობით ჯამურად **12**-მა უნიკალურმა პროვაიდერმა **3** მიმართულებით **229** კურსზე გამოაცხადა მიღება.

დიაგრამა 2. კურსების რაოდენობის განაწილება მიმართულებები მიხედვით




დიაგრამა 3. კურსების რაოდენობის განაწილება პროვაიდერების მიხედვით

პროვაიდერი	კურსების რაოდენობა
შპს აითი აკადემია სტავ	72
შპს თბილისის საკომუნიკაციო სკოლა	38
შპს ციფრული ინდუსტრიის აკადემია	34
SMART ACADEMY	17
RE:EDUCATE	14
შპს სანიფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი მგიური	14
შპს ლინგვისტონ ლაბი	13
შპს სქილვილ	9
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	8
შპს სმარტ ვრუფი	6
ააიპ მართვის აკადემია	3
ორიანდ ლოჯიკი	1


სამივე მიღების ფარგლებში უნიკალური სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც დაინტერესდნენ პროგრამით და კურსზე გაიარეს რეგისტრაცია **18,000**-მდე აღწევს (ქალი - **54%**). რეგისტრირებული მონაწილეების **68%** 19-29 წლის ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება.

დიაგრამა 4. რეგისტრირებული აპლიკანტების განაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით




თითოეულ აპლიკანტს ჰქონდა შესაძლებლობა მაქსიმუმ **5** კურსზე გაეკეთებინა განაცხადი. შესაბამისად ჯამურად მიღებულია **68,000**-მდე განაცხადი. საიდანაც რეგისტრირებული აპლიკანტების **74%**-მა მიიღო მონაწილეობა შესარჩევ ეტაპზე. შესარჩევი ეტაპი ითვალისწინებს აპლიკანტების ტესტირებას ზოგად უნარებში, რომელსაც საჯარო კონკურსის შედეგად შერჩეული საგამოცდო ცენტრი (სერვის პროვაიდერი) ახორციელებს.

დიაგრამა 5. მიღებული განაცხადების განაწილება მიმართულებების მიხედვით



შერჩევის ეტაპის შედეგად, სამივე მიღების ფარგლებში, კურსზე ჩაირიცხა **3,046** მონაწილე (ქალი **56%**). 2025 წლის მდგომარეობით დასრულებულია კურსების **87%**, რომელიც წარმატებით გაიარა და სერთიფიკატი მოიპოვა მონაწილეთა **67%**-მა.



Do IT with the EU

2024 წელს დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „Do IT with the EU“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს IT ეკოსისტემის გაძლიერებას, პროფესიული უნარების ამაღლებასა და ტექნოლოგიურ სექტორში დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა დასაქმებისა და საერთაშორისო სერთიფიცირების პროგრამები.

დასაქმების პროგრამა

პროგრამა როგორც ახალბედა, ისე გამოცდილ IT სპეციალისტებს აძლევდა შესაძლებლობას აემალეებინათ კვალიფიკაცია და დაეწყოთ კარიერა გლობალურ ან რეგიონულ IT ბაზარზე.


პროგრამა განხორციელდა როგორც თბილისში ისე რეგიონებში (მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, კახეთი, სამეგრელო, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი). სწავლების პროცესში ჩართული იყვნენ როგორც წარმატებული ქართველი IT სპეციალისტები, რომლებიც გლობალურ ტექნოლოგიურ კომპანიებში მუშაობენ (Google, Amazon, PayPal, სხვა), ისე საქართველოში არსებული წამყვანი საერთაშორისო IT კომპანიები (EPAM, Lineate, DataArt, ExactPro, Sweeft Making Science).

დასაქმების პროგრამა რეგიონებში ფიზიკურ, ხოლო თბილისში ონლაინ ფორმატში მიმდინარეობდა. ბენეფიციართა რაოდენობა კი განსაზღვრული იყო შემდეგი პროპორციით: თბილისი-50%, რეგიონები - 50%.

პროგრამა მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას, აემალეებინათ ცოდნა და განვითარებინათ პრაქტიკული უნარები **10** მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში **1,527**-მა აპლიკანტმა (ქალი - **43%**) გაიარა რეგისტრაცია (აპლიკანტების 74% დარეგისტრირებული იყო თბილისის კურსებზე). ყველაზე დიდი მოთხოვნა კი კიბერ უსაფრთხოების კურსზე დაფიქსირდა.

დიაგრამა 6. აპლიკანტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




შემოსული განაცხადების გადარჩევა და მონაწილეების შერჩევა ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე მოხდა სამოტივაციო წერილების განხილვა, ხოლო მეორე ეტაპზე გადასულ მონაწილეებს ჩაუტარდათ გასაუბრება.

შერჩევის ეტაპის საფუძველზე კურსზე ჩაირიცხა აპლიკანტების **28%** (433; მათ შორის ქალი **39%**). თბილისში განხორციელებულ კურსზე ჩაირიცხა რეგისტრირებულების **75%**, ხოლო რეგიონებში - **65%**.

შერჩეულმა მონაწილეებმა პროგრამის საბოლოო ეტაპზე წარადგინეს ფინალური პროექტი, რომლის შედეგადაც **285**-მა მონაწილემ (ქალი - 40%) წარმატებით დაასრულა და მოიპოვა კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი. თბილისში ჩარიცხული სტუდენტების **75%**-მა, ხოლო რეგიონებში ჩარიცხული სტუდენტების **65%**-მა წარმატებით დაასრულა კურსი.

დიაგრამა 7. მონაწილეებისა და ბენეფიციარების განაწილება მიმართულებების მიხედვით



საერთაშორისო სერთიფიცირების პროგრამა


პროგრამა მიზნად ისახავდა როგორც ახალბედა, ისე გამოცდილი IT სპეციალისტების გადამზადებას მოთხოვნად IT მიმართულებებში. პროექტის ფარგლებში მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატი და ამაღლებინათ პროფესიული კვალიფიკაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა მათ კონკურენტუნარიანობას გლობალურ IT ბაზარზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დისტანციურ ფორმატში, 8 თვის განმავლობაში, ინგლისურ ენაზე, საერთაშორისო ტრენინგ პროვაიდერი New Horizons Bulgaria-ს კოორდინირებით.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეებს ჰქონდათ საერთაშორისო სერთიფიკატის მიღების შესაძლებლობა ისეთ ორგანიზაციებსა და პლატფორმებზე, როგორცაა Microsoft, Google, Amazon, Oracle, ISTQB და სხვა.

პროგრამა მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას, ამაღლებინათ ცოდნა და განეხილათ ცოდნა პრაქტიკული უნარები **14** მიმართულებით. სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში შეეძლოთ განაცხადი ერთზე მეტ კურსზე შემოეტანათ, შესაბამისად მიღებული განაცხადების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა **8,738**, ხოლო უნიკალური აპლიკანტების რაოდენობამ **3,475 (ქალი - 45%)**. მიმართულებების მიხედვით კი ყველაზე დიდი მოთხოვნა დაფიქსირდა პროგრამირების კურსებზე.



დიაგრამა 8. მიღებული განაცხადების განაწილება მიმართულებების მიხედვით



შემოსული განაცხადების გადარჩევა ეფუძნებოდა ჩატარებული ტესტირების შედეგებსა და აპლიკანტებთან გასაუბრებას.

შერჩევის ეტაპის საფუძველზე კურსზე ჩაირიცხა **1,044** მონაწილე (ქალი - 37%). კურსი წარმატებით დაასრულა შერჩეულ მონაწილეთა **85%-მა** (887 ბენეფიციარი, მათ შორის ქალი - **38%**). პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციართა **74%-მა** (654) მოიპოვა საერთაშორისო სერთიფიცირების გამოცდის ვაუჩერი, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევდა დარეგისტრირებულიყვნენ ოფიციალურ სასერთიფიკატო გამოცდაზე სრულიად უფასოდ. საერთაშორისო სერთიფიცირების გამოცდა წარმატებით ჩააბარა **340-მა** ბენეფიციარმა (ქალი - **39%**).


დიაგრამა 9. ბენეფიციარებისა და სერთიფიცირებული ბენეფიციარების განაწილება მიმართულებების მიხედვით



აწილა

„აწილა ინტერაქციული სასწავლო ასისტენტი“ ევროკავშირის მხარდაჭერილი ინიციატივაა „Do IT in Georgia“ პროგრამის ფარგლებში. მისი მთავარი მიზანია შეიქმნას თანამედროვე სასწავლო პლატფორმა, სადაც 12-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეები შეძლებენ STEAM-ისა და ხელოვნური ინტელექტის კურსებზე წვდომას. პროექტის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია AI ასისტენტის შექმნა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს სასწავლო პროცესში. გაამარტივებს მასალასთან მუშაობას და გაზრდის მათ ჩართულობას. პლატფორმა უზრუნველყოფს პერსონალიზებულ სასწავლო გამოცდილებას, ხელს უწყობს უნარების განვითარებასა და კარიერული მზაობის გაძლიერებას.

პროგრამა აწილა 2025 წლის დეკემბრიდან ტექნოპარკებში დაიწყო და გრძელდება 2026 წელსაც. თუმცა პროგრამა ჯერ მხოლოდ ტესტირების რეჟიმშია. მოსწავლეები მიდიან ტექნოპარკებში, აწილას პლატფორმაზე გადიან კურსს, იყენებენ ჩაშენებულ AI ასისტენტს და თუკი შეამჩნევენ ტექნიკურ ან შინაარსობრივ უზუსტობას ან ვაუგებრობას, ტექნოპარკების მენეჯერებს აწვდიან ინფორმაციას. ტექნოპარკების მენეჯერების ჩართულობით და მოსწავლეების უკუკავშირით იხვეწება აწილას პლატფორმა, რაც ტესტირების მიზანია.



გამარჯობა, მე აწილა ვარ, შენი მეგობარი ციფრულ სასწავლოში.

ეს არის ონლაინ სასწავლო პლატფორმა, რომელიც შექმნილია სპეციალურად VII-XII კლასის მოსწავლეებისთვის. აქ შენ იპოვი შეხვედრებს და ინტერაქციულ რესურსებს.

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება მოიცავს მხარდაჭერას ადრეულ და შუალედურ ეტაპებზე - იდეის ფორმირებიდან საერთაშორისო მასშტაბირებამდე. მის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ როგორც სტუდენტები და ახალგაზრდა მეწარმეები, ასევე ინდუსტრიაში მომუშავე პროფესიონალები, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური იდეა და სურთ მისი კომერციალიზაცია.

სააგენტო სტარტაპის განვითარებას ოთხ თანმიმდევრულ ეტაპზე - იდეის, pre-seed, seed და Series A - ეხმარება და მხარდაჭერას ახორციელებს ორი ურთიერთმემავესებელი მიმართულებით: **ცოდნასა და ფინანსებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.**

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება



2025 წელს სტარტაპ ეკოსისტემის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა 8 პროგრამა, რომელთა ნაწილი ფარავს ერთდროულად ორივე კომპონენტს, ცოდნაზე ხელმისაწვდომობასა და ფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

ცოდნაზე ხელმისაწვდომობის ფარგლებში სააგენტო სთავაზობს **პრა-აქსელერაციის, 500 აქსელერაციის, სტარტაპ-ინკუბატორისა და ინოვაციური სტარტაპ აქსელერაციის პროგრამებს**, რომლებიც უზრუნველყოფენ იდეების ვალიდაციას, გუნდების ჩამოყალიბებასა და სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებას. საანგარიშგებო პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელდა **4** პროგრამა, რომელთა ფარგლებშიც **359 სტარტაპს/გუნდს** ჰქონდა შესაძლებლობა დაეხვეწა საკუთარი პროდუქტი და გაეღრმავებინა სამეწარმეო ცოდნა.

დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი კი მოიცავს შემდეგ ინიციატივებს: **ინოვაციების გრანტებს რეგიონებისთვის** პროგრამას, „**ინოვაციური სტარტაპ აქსელერაცია**“ პროგრამას, **ანგელოზ ინვესტორთა ქსელის** განვითარების ხელშეწყობას, **ვენჩურული ეკოსისტემის** ჩამოყალიბებას ქვეყანაში. 2025 წელს ამ მიმართულებით ჯამურად განხორციელდა **4** პროგრამა. დასრულებული 2 პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა **58-მა** ბენეფიციარმა, ხოლო დაფინანსების ჯამური მოცულობამ **3.8 მლნ.** ლარი შეადგინა. მიმდინარე **2** პროგრამის ფარგლებში კი, **500 Georgia** ვენჩურული ფონდი აფინანსებს აქსელერაციაში გამარჯვებულ სტარტაპებს **100,000 აშშ დოლარით**, ხოლო ინოვაციური სტარტაპ აქსელერაციის პროგრამაში ჩართულ **80** სტარტაპს შეუძლიათ **50,000-დან 200,000** ლარამდე დაფინანსების მოპოვება პროგრამის მეორე და მესამე ეტაპებზე.

უკვე ჩამოყალიბებული სტარტაპებისთვის ფუნქციონირებს **Startup in Georgia** - პლატფორმა, რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს დამფუძნებლებს, ინვესტორებსა და ინსტიტუციებს, რათა დაინტერესებულ მხარეებს ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის შესაძლებლობებსა და ინფორმაციაზე.

ეკოსისტემის დამატებით გასაძლიერებლად სააგენტოს ინიციატივით ცვლილებები შევიდა „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ინოვაციური სტარტაპის სტატუსი. აღნიშნული სტატუსი კომპანიებს საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს, რაც სტარტაპებს საშუალებას აძლევს, მეტი ფინანსური რესურსი მიმართონ პროდუქტისა და სერვისის განვითარებისკენ. საანგარიშგებო პერიოდში შემოსული განაცხადებიდან **6-მა** სტარტაპმა დააკმაყოფილა დადგენილი კრიტერიუმები.

პრე-აქსელერაცია

პრე-აქსელერაციის პროგრამა სრულად ფარავს **იდეის ეტაპს** და მიზნად ისახავს რეგიონებში ინოვაციური გუნდების ფორმირებასთან ერთად ადრეული ეტაპის ბიზნეს-იდეების სისტემურ განვითარებას. პროგრამა მიმართულია დამწყები მეწარმეებისა და გუნდებისკენ, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური იდეა, თუმცა საჭიროებენ სტრუქტურირებულ მხარდაჭერას მის ბიზნეს-მოდელად გადაქცევაში. შვიდკვირიანი ინტენსიური პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ ტრენინგებს, მენტორინგსა და „იდეიდან პროდუქტამდე“ სასწავლო ციკლს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები მუშაობენ პრობლემის ანალიზზე, ბაზრის შეფასებაზე, ბიზნეს-მოდელსა და პირველადი პროდუქტის კონცეფციაზე. პროგრამა სრულდება დემო-დღით, სადაც გუნდები საკუთარ პროექტებს წარადგენენ.


პრე-აქსელერაცია მონაწილეებს საშუალებას აძლევს, რომ სააგენტოს დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის პროგრამებში - საგრანტო კონკურსებსა და საინვესტიციო მექანიზმებში - უფრო მომზადებულად და კონკურენტუნარიანად შევიდნენ, ხოლო პროგრამის განმავლობაში დახვეწილი სტარტაპ-იდეა გადაიქცეს რეალურ, განხორციელებად ბიზნეს-პროექტად.

2025 წელს პროგრამამ განიცადა მცირედი მოდიფიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა წარდგენილი იდეების ინოვაციურობის დონის ამაღლებას. პროგრამას დაემატა **იდეათონი** - ორდღიანი ინტენსიური ღონისძიება, რომელიც მონაწილეებს უზრუნველყოფს მეთოდოლოგიური მხარდაჭერითა და პრაქტიკული ინსტრუმენტებით საკუთარი იდეების განვითარებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების პროცესში.

საანგარიშგებო პერიოდში პრე-აქსელერაციის პროგრამა განხორციელდა საქართველოს **11** რეგიონში. პროგრამის პირველ ეტაპზე თითოეულ რეგიონში ჩატარდა იდეათონის ვორქშოპი, რომელშიც ჯამში **1,067** დაინტერესებული პირი მონაწილეობდა.


ხოლო პრე-აქსელერაციის ინტენსიურ გადამზადების პროგრამაში ჩაერთო **386** მონაწილე, რომლებმაც **121** სამუშაო გუნდი ჩამოაყალიბეს. გუნდები პროგრამის ფარგლებში საკუთარი ინოვაციური იდეების სტრუქტურირებასა და განვითარებაზე მუშაობდნენ.

დიაგრამა 10. 2025 წლის პროგრამის მონაწილეთა რაოდენობის განაწილება რეგიონების ქრილში



პრე-აქსელერაციის პროგრამის ფარგლებში დამუშავებული იდეების **37%**-მა მონაწილეობა მიიღო „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ პროგრამაში, მათ შორის კი **7%**-მა მოიპოვა 25,000 ლარიანი საგრანტო დაფინანსება, რაც მხარდაჭერის ციკლის თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ასაკობრივი განაწილების მიხედვით, შერჩეულ მონაწილეთა შორის ყველაზე მაღალი წილი (**33%**) **30-49 წლის** ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება.





სტარტაპ ინკუბატორი

ტექნოპარკის სტარტაპ ინკუბატორის პროგრამა მიზნად ისახავს რეგიონული სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებასა და ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერას **იდეის ეტაპზე**. პროგრამის ფარგლებში სტარტაპ გუნდებს სთავაზობენ პროფესიულ მხარდაჭერას, მენტორინგსა და ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს. პროგრამა ხორციელდება საქართველოს **9 ტექნოპარკის** ბაზაზე - თბილისში, ახმეტაში, თელავში, გურჯაანში, კასპში, ზუგდიდში, სენაკში, ოზურგეთსა და ბათუმში.

პროგრამაში მონაწილეობა შეეძლოთ სტარტაპ გუნდებს, რომლებიც MVP-ის (Minimum Viable Product) შემუშავების ეტაპზე იმყოფებოდნენ. შერჩეული გუნდები კი ექვსთვიანი ინკუბაციის პერიოდში მუშაობდნენ ინდივიდუალური მენტორებისა და დარგის ექსპერტების მხარდაჭერით, როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინ ფორმატში.

2025 წელს ინკუბაციის პროგრამაში ჩაერთო **77** მონაწილე, რომლებიც მუშაობდნენ **45** სტარტაპ-იდეის განვითარებაზე. ექვსთვიანი ინკუბაციის პერიოდის შემდეგ კი პროგრამის დასკვნით დემოდღებზე მონაწილეობა მიიღო **55**-მა ბენეფიციარმა, რომლებმაც ჟიურის წინაშე **26** სტარტაპ-იდეა წარადგინეს.

დიაგრამა 11. შერჩეული და ფინალურ ეტაპზე წარმოდგენილი სტარტაპ გუნდების რაოდენობის განაწილება ტექნოპარკების მიხედვით




ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის

ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის არის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში ტექნოლოგიური და ინოვაციური სტარტაპების განვითარებას **იდეის ეტაპზე** და ადგილობრივ გუნდებს კომერციული პოტენციალის მქონე პროექტების რეალიზების საშუალებას აძლევს.


პროგრამა 2023 წლიდან ხორციელდება საქართველოს **11** რეგიონში. ყოველწლიურად საშუალოდ **40** სტარტაპი იღებს საგრანტო დაფინანსებას, ხოლო გრანტის მაქსიმალური მოცულობა **25,000** ლარია. თითოეულ რეგიონში დაფინანსებული პროექტების რაოდენობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

2023-2025 წლებში ჯამურად დაფინანსებულია **122** პროექტი, ხოლო გაცემული გრანტების საერთო მოცულობა შეადგენს **3** მლნ. ლარს.

2025 წელს სააპლიკაციო განაცხადი შემოიტანა **414**-მა აპლიკანტმა, ხოლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ტრენინგში, რომელიც ბიზნეს-იდეის ფორმირებაზე იყო ორიენტირებული, მონაწილეობა მიიღო **341** აპლიკანტმა. შერჩევის პროცესის შედეგად დაფინანსება მოიპოვა **39**-მა სტარტაპმა, რომელთაგან 36% ქალი მეწარმეა.




დიაგრამა 11. აპლიკანტებისა და დატრენინგებულების განაწილება წლების მიხედვით



დიაგრამაზე ნათლად იკვეთება, რომ აპლიკანტებისა და დატრენინგებულების რაოდენობა წლების მიხედვით სტაბილურ დინამიკას ინარჩუნებს. თუმცა რეგიონული ქრილის მიხედვით სურათი არაერთგვაროვანია. კერძოდ, ოთხ რეგიონში აპლიკანტთა რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა, რაც ამ რეგიონებში პროგრამისადმი გაზრდილი ინტერესსა და პროექტებს შორის მაღალ კონკურენციას მიუთითებს. ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა, სადაც აპლიკანტთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით **90%**-ით გაიზარდა. პარალელურად, ხუთ რეგიონში აპლიკანტთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა - კლების მაჩვენებელი კი 7%-დან 24%-მდე მერყეობს.

დიაგრამა 12. აპლიკანტთა განაწილება რეგიონებისა და წლების მიხედვით




აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამარჯვებულები განვითარებას სააგენტოს სხვა საგრანტო პროგრამებში განაგრძობდნენ. 2025 წლის მდგომარეობით თანადაფინანსების საგრანტო პროგრამაში 150,000 ლარიანი დაფინანსება მოიპოვა 6-მა რეგიონალური საგრანტო პროგრამის გამარჯვებულმა სტარტაპმა, ხოლო აქსელერაციის პროგრამის შერჩევის ეტაპი წარმატებით გაიარა და პირველი ეტაპის (Founder Market Fit) მონაწილე რეგიონალური გრანტის მფლობელი 7 სტარტაპი.

თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა

თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მიმართულია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისკენ. იგი ფარავს სტარტაპებს განვითარების **pre-seed, seed** და **series A** ეტაპებზე. პროგრამა 2018-2022 წლებში განხორციელდა მსოფლიო ბანკთან პარტნიორობის ფარგლებში და გრანტის მაქსიმალური მოცულობა განსაზღვრული იყო **100,000** ლარით, ხოლო 2022-2025 წლებში მისი განხორციელება გაგრძელდა საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, ხოლო საგრანტო მოცულობა გაიზარდა **150,000** ლარამდე.

თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა მიმდინარეობდა რაუნდების პრინციპით. 2025 წლის მდგომარეობით ჩატარებულია 14 რაუნდი, ხოლო თითოეულ რაუნდში გამარჯვებულთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული იყო 20 სტარტაპ პროექტით.

თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს განხორციელდა ბოლო მე-14 რაუნდი, რომლის ფარგლებში მიღებულია **534** განაცხადი. განაცხადების შერჩევის პირველ ეტაპზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოვლინდა მეორე ეტაპზე გადასული **153** სტარტაპი. მონაწილეებმა გაიარეს ბიზნეს გეგმის ფორმირებაზე ორიენტირებული კურსი, ხოლო საბოლოო ეტაპზე გადასული **50** სტარტაპიდან დაფინანსება მოიპოვა **19**-მა სტარტაპმა.




2018-2025 წლის პერიოდში პროგრამის ფარგლებში ჯამურად მიღებულია **4,397** განაცხადი, ხოლო საგრანტო დაფინანსება მოიპოვა **274**-მა პროექტმა. სააგენტოს მიერ გაცემული გრანტის მოცულობა კი შეადგენს **34 მლნ** ლარს.



ჯამურად დაფინანსებული კომპანიების **57%** აგენერირებს შემოსავალს 2025 წლის მდგომარეობით. ხოლო მათ მიერ 2018-2025 წლებში მიღებული შემოსავლის მოცულობა **189 მლნ** ლარს შეადგენს. ამასთან, კომპანიების **91%** ქმნის სამუშაო ადგილს. მათ მიერ 2018-2025 წლებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა **3,100**-მდეა.

დიაგრამა 13. კომპანიების რაოდენობის პროცენტული განაწილება შემოსავლის მიღების სტატუსის მიხედვით



2025 წელს დასრულდა აღნიშნული პროგრამა და დაიწყო ახალი უფრო მეტად ინტენსიური „**ინოვაციური სტარტაპ აქსელერაციის**“ პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში უფრო ძლიერი გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპების ჩამოყალიბებას, მათზე მორგებული ინტენსიური მენტორშიფითა და საგრანტო კომპონენტით განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე.

ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის პროგრამა

2025 წელს სააგენტომ შეიმუშავა „ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის პროგრამა“, რომელიც წარმოადგენს ინტენსიური სტარტაპ-განვითარების მექანიზმს, სადაც საერთაშორისო აქსელერატორების წამყვანი კონსულტანტები სტარტაპებს განვითარების ყველა ეტაპზე უწევენ მენტორინგს - იდეის ვალიდაციიდან მასშტაბირებად ბიზნეს-მოდელამდე, ზრდის სტრატეგიიდან გლობალურ ბაზარზე გასვლამდე. პროგრამის მთავარი სიახლე არის ის, რომ სტარტაპები მიიღებენ პერსონალიზებულ, მაღალი ხარისხის უკუკავშირს საერთაშორისო გამოცდილების მქონე მენტორებისგან, რაც დაეხმარება მათ ბიზნეს მოდელის დახვეწაში, პროდუქტის სწორად პოზიციონირებასა და საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებული მასშტაბირების შესაძლებლობების გაზრდაში.

აქსელერაციის ერთი ციკლი სამ თანმიმდევრულ ეტაპს მოიცავს:

1 ფაზა	2 ფაზა	3 ფაზა
40 სტარტაპი	მაქს. 20 სტარტაპი	მაქს. 10 სტარტაპი
FOUNDER MARKET FIT	MVP	MARKET ENTRY
2 თვე	4 თვე	6 თვე
<ul style="list-style-type: none"> დამფუძნებლობის მენტორინგი და ქოუჩინგი 	<ul style="list-style-type: none"> MVP-ის განვითარება მომხმარებლის ტესტირება და ბაზრის ვალიდაცია კლიენტებთან ურთიერთობა 	<ul style="list-style-type: none"> ინდივიდუალური მენტორინგი მომხმარებელთა მოზიდვა ბაზარზე შესვლის სტრატეგია
	50 000 ლარი - საგრანტო დაფინანსება	150 000 ლარი - საგრანტო დაფინანსება




პროგრამის განხორციელების მიზნით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი აქსელერატორის შერჩევის მიზნით, რომლის ფარგლებშიც 17-მა აპლიკანტმა შემოიტანა განაცხადი. წარმოდგენილი შემოთავაზებების შეფასების შედეგად შეირჩა 4 საერთაშორისო აქსელერატორი - **Plug and Play, Startupbootcamp, 500 Global** და **Founder Institute** და **2080 Ventures**.

აპლიკანტი	ქვეყანა
PLUG AND PLAY	აშშ
INTERNATIONAL ACCELERATOR	აშშ
500 GLOBAL	აშშ
FOUNDER INSTITUTE	აშშ
STARTUP GENOME	აშშ
USMAC	აშშ
AMIRANI HORIZON (Belgian Consortium)	ბელგია
EBN	ბელგია
STARTUPWISEGUYS	ესტონეთი
BALTIC INNOVATION AGENCY	ესტონეთი
STARTUPBOOTCAMP	დანია
STARTUP2GROUP	გერმანია
SEEDSTARS	შვეიცარია
UNICORNFACORYLISBOA	პორტუგალია
TAL CATRAN	ისრაელი
STRATEGY CROWD	ირლანდია
CIVITTA	ლიტუვა

2025 წლის მდგომარეობით, Startupbootcamp-სა და Plug & Play-ს გამოცხადებული ჰქონდა განაცხადების მიღება პროგრამის პირველ ეტაპზე. აღნიშნულ ეტაპზე ორივე აქსელერატორმა ჯამურად მიიღო 550 განაცხადი, საიდანაც თითოეულმა აქსელერატორმა შეარჩია 40 სტარტაპი.

დიაგრამა 14. პროგრამის პირველ ეტაპზე მიღებული აპლიკაციებისა და შერჩეული სტარტაპების განაწილება აქსელერატორების მიხედვით



PLUGANDPLAY

Startupbootcamp
Georgia

FOUNDER
INSTITUTE | 2080
VENTURES

500

500 აქსელერაცია და ვენჩურული ფონდი

აქსელერაციის პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში მსოფლიო დონის აქსელერატორთან თანამშრომლობას, რომელიც მხარს უჭერს სტარტაპების საერთაშორისო ბაზარზე გასვლას, ახორციელებს მენტორინგს და უწევს მათ ტექნიკურ დახმარებას, რაც მოიცავს **pre-seed** და **seed** ეტაპებს.

სააგენტოსა და 500-ს შორის 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად, 4 წლის განმავლობაში, აქსელერაცია გაიარა **80**-მა ადგილობრივმა და საერთაშორისო სტარტაპმა. ჯამურად 7 რაუნდის ფარგლებში აქსელერაციაზე მიღებულ იქნა **2,775** აპლიკაცია.

2025 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მე-8 და მე-9 რაუნდები, რომლის ფარგლებშიც მიღებული **1,023** აპლიკაციიდან აქსელერაცია წარმატებით გაიარა **21**-მა სტარტაპმა.

500 ვენჩურული ფონდი

500 Georgia არის ვენჩურული ფონდი, რომელიც 500 Global-ის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ სტარტაპებში ინვესტირების, ინოვაციების მხარდაჭერისა და შემდგომი განვითარების მიზნით დაფუძნდა. ფონდის მაქსიმალური სამიზნე მოცულობა 20 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, სადაც სააგენტო 5 მლნ დოლარით მონაწილეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობის ფარგლებში.

2025 წლის მდგომარეობით, ვენჩურული ფონდის მიერ **59** სტარტაპში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა **5.9 მლნ. აშშ დოლარს**.

500 აქსელერაცია	
ჩატარებული რაუნდი	7
მიღებული აპლიკაციები	2,775
აქსელერაცია გავლილი სტარტაპები	80
მათ შორის თანადაფინანსების პროგრამის ბენეფიციარი სტარტაპები	11
500 ფონდი	
VC ფონდის ინვესტიციის მოცულობა	5,900,000
სააგენტოს ბენეფიციარ სტარტაპებში ინვესტიციის მოცულობა	1,000,000
სხვა სტარტაპები	4,900,000

ანგელოზ ინვესტორთა ქსელი

პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში ანგელოზ ინვესტორთა ქსელის ფორმირების ხელშეწყობას, რაც ადგილობრივი სტარტაპებისთვის **pre-seed** და **seed** ეტაპებზე დაფინანსებაზე წვდომის დამატებითი შესაძლებლობების შექმნასა და ანგელოზ ინვესტორთა ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

საქართველოში ანგელოზ ინვესტორთა ერთადერთი ქსელია „შპს. საქართველოს ანგელოზი ინვესტორების ქსელი“. სამი წლის განმავლობაში აქსელმა 25 ღონისძიება განახორციელა, რის შედეგადაც 18 სტარტაპმა ანგელოზ ინვესტორებისგან დაფინანსება მოიხიდა - მათ შორის 12 თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის ბენეფიციარია. მოზიდული ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ **617,000\$** შეადგინდა.

2025 წელს აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა **2** შეხვედრა, რომელთა მიზანი იყო სტარტაპებსა და პოტენციურ ინვესტორებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის ხელშეწყობა, ინოვაციური იდეების წარდგენა და დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდა.


ცხრილში მოცემულია სააგენტოს ბენეფიციარი რამდენიმე სტარტაპები, რომლებმაც მოიზიდეს ინვესტიცია.

სტარტაპი	აღწერა
 Pharmaco	აპლიკაცია, რომელიც შუამავალია მომწოდებელსა და პაციენტს შორის
 Helio.AI	ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული რეკრუტირების პლატფორმა
 Medik	ხელოვნური ინტელექტით გამდიდრებული სამედიცინო აპლიკაცია
 Printomato	ინოვაციური AdTech პლატფორმა, რომელიც ციფრულ რეკლამას უფასო ფოტო ბექდვასთან აერთიანებს
 Amadeo	ფინანსური ანალიტიკის პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

ინოვაციური სტარტაპის სტატუსი

2025 წელს „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა ინოვაციური სტარტაპის სტატუსი - მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც განკუთვნილია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს, პროცესს ან მომსახურებას და აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს. სტატუსი ითვალისწინებს ეტაპობრივ საგადასახადო შეღავათებს - ხელფასებზე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას და შემდგომ პერიოდში მოგებისა და ხელფასების შემცირებული განაკვეთებით დაბეგვრას - რაც ამცირებს ფინანსურ ტვირთს ადრეულ ეტაპზე მყოფი სტარტაპებისთვის და მათ შესაძლებლობას აძლევს, შეტი რესურსი მიმართონ პროდუქტის განვითარებასა და გუნდის გაძლიერებაზე. სტარტაპებს სტატუსით სარგებლობა შეუძლიათ პირველი 10 წლის განმავლობაში.


საანგარიშგებო პერიოდში სააგენტოში სულ 14 განაცხადი შემოვიდა, საიდანაც **6-მა** სტარტაპმა დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნილი კრიტერიუმი, 5 განხილვის პროცესშია, ხოლო 3 განაცხადი უარყოფილ იქნა.



STARTUP IN GEORGIA

StartUp in Georgia ინიციატივის მიზანია გააერთიანოს და განავითაროს ქვეყნის მზარდი სტარტაპ ეკოსისტემა. ის ხელს უწყობს შექმნას სტარტაპებისთვის მასშტაბირების შესაძლებლობა, რაც გამოიხატება ქართული ეკოსისტემის წარდგენით მსოფლიოს წამყვან ტექნოლოგიურ გამოფენებზე, სადაც სტარტაპებს აქვთ შესაძლებლობა დაამყარონ კავშირები და შეძლონ ინვესტორებთან დაკავშირება. ინიციატივის ფარგლებში 2026 წლის განმავლობაში საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემა წარმოადგენილი იქნება ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა CES ლასვეგასში, Websummit ლისაბონში, GITEX Global დუბაიში და Switch სინგაპურში.

საერთაშორისო საინვესტიციო და ტექნოლოგიურ პლატფორმებში მონაწილეობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ქართული სტარტაპ ეკოსისტემის გლობალური ინტეგრაცია. საანგარიშგებო პერიოდში 4 ღონისძიებას დაესწრო სააგენტო და მისი ბენეფიციარები - Expand North Star-ს, Web Summit-ს, MIA-სა და Startup World Cup-ს. აღნიშნულთაგან სააგენტოს დაფინანსებით 8 სტარტაპმა მონაწილეობა მიიღო სტარტაპებისა და ინვესტორების დამაკავშირებელ მასშტაბურ პლატფორმებზე: არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გამართულ Expand North Star-ზე მონაწილეობა მიიღო 2 სტარტაპმა - Quissly-მ და Forma Technologies-მა, ხოლო ლისაბონში გამართულ Web Summit-ზე საქართველოს წარმომადგენელ სტარტაპი: Klics, Betterstep, VS1, Backoffice, Herio და Tasteit. აღნიშნულმა ღონისძიებებმა სტარტაპებს საშუალება მისცა პირდაპირ კონტაქტი დაამყარონ საერთაშორისო ინვესტორებთან და პარტნიორებთან, რაც ქართული ინოვაციური ეკოსისტემის გლობალური ხილვადობის გაზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.



R&D ეკოსისტემის განვითარება

R&D ეკოსისტემის განვითარება ფოკუსირებულია საქართველოში კვლევისა და ინოვაციების გარემოს სისტემურ გაძლიერებაზე. მიმართულების მთავარი ამოცანაა ქვეყანაში R&D დანახარჯების წილის ზრდა, სტანდარტული ბიზნესების ინოვაციური აზროვნებისკენ წახალისება და მათი პროდუქტებისა თუ სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობა. ამასთან, მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სტარტაპებისა და ბიზნესების დაკავშირება, რათა ინოვაციური გადაწყვეტილებები რეალურ საბაზრო გარემოში დაინერგოს.

მიმართულების სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოები და კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინოვაციებით და ტექნოლოგიების კომერციალიზაციით. მიზანია, რომ ბიზნესმა დაიწყოს ინოვაციური მიდგომების დანერგვა საკუთარ პროცესებში - იქნება ეს შიდა კვლევითი გუნდების ჩამოყალიბებით თუ უკვე არსებული სტარტაპ-პროდუქტების ათვისებით.

მიმართულება მოიცავს Tech Transfer-ის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიების გადაცემისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობას. ასევე, აღნიშნულ პილარში შედის ინოვაციური SME და R&D კომპანიების სტატუსების ინიციატივა. ინოვაციური SME სტატუსს იღებს მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ინოვაციურ საქმიანობას ეწევიან. R&D კომპანიის სტატუსი კი განკუთვნილია კვლევა-განვითარებაზე ფოკუსირებული კომპანიებისთვის.



ტექნოლოგიების გადაცემის ოფისი


ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის მიზანია აკადემიურ და კვლევით სივრცეში შექმნილი ტექნოლოგიების კომერციალიზაცია, მათი ტექნოლოგიური, ინტელექტუალური საკუთრებისა და ბიზნეს მზაობის ზრდა და ინდუსტრიულ პარტნიორებთან დაკავშირება. 2025 წელს პროგრამის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა შერჩეული პროექტების ინდივიდუალური მენტორინგი, ბაზრის ანალიზი, საერთაშორისო ტესტირებები და საპატენტო სტრატეგიების დაგეგმვა. თითოეული აპლიკაციის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეფასებასა და პროგრესის მონიტორინგს შემდეგი მიმართულებებით:

- ტექნოლოგიური მზაობის დონე (TRL);
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მზაობა (IPRL);
- ბიზნეს მზაობის დონე (BRL).

პროგრამის განხორციელების პროცესში აქტიური თანამშრომლობა დამყარდა როგორც ადგილობრივ კვლევით ინსტიტუტებთან, ისე საერთაშორისო ინდუსტრიულ პარტნიორებთან - მათ შორის დანიასა და საფრანგეთში. ამ პერიოდში განხორციელდა ლაბორატორიული ტესტირებები, ექსპერიმენტული კვლევები და გაძლიერდა საპატენტო პროცესები. 2025 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდა ახალი განაცხადების მიღება, რომელიც 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდა. 2025 წელს მიღებული განაცხადების რაოდენობამ კი 18 შეადგინა.

2019 წლიდან დღემდე სააგენტომ სულ 150 განაცხადი მიიღო და დაამუშავა. 46-მა (30%) პროექტმა წარმატებით გაიარა „დეტალური შესწავლის (Due Diligence) ეტაპი“, ხოლო 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით 13 (28%) პროექტი იმყოფება კომერციალიზაციის ეტაპზე, 5 კი შეჩერებულია.

2019 -2025 პერიოდის შედეგები



შერჩეული 13 აქტიური პროექტიდან განსაკუთრებით გამოიყოფა რამდენიმე ინიციატივა, რომლებსაც სექტორული ტრანსფორმაციისა და ინოვაციის ფართომასშტაბიანი ინტეგრაციის რეალური პოტენციალი გააჩნიათ:

Phytotester წარმოადგენს AI-თან ინტეგრირებულ ინოვაციურ მოწყობილობას, რომელიც მცენარის ბიოელექტრულ სიგნალებზე დაყრდნობით ნერგების, თესლისა და სამცნობი მასალის სიცოცხლისუნარიანობას არაინვაზიურად და სწრაფად აფასებს. 2025 წელს დანიაში განხორციელებული სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მოწყობილობა ოთხ სასოფლო-სამეურნეო კომპანიაში გამოიყვანა და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გამოიკვეთა დიზაინის გაუმჯობესების აუცილებლობა, რაზეც მეცნიერი ამჟამად სააგენტოს გრანტის მხარდაჭერით აქტიურად მუშაობს.

Zeolite Fertilizers წარმოადგენს ინოვაციურ ბიოსასუქს, რომელიც ცეოლიტის საფუძველზე ხორბლის მოსავლიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. 2025 წელს „მულტიტესტი“ დაფინანსებული ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა და დაადასტურა ტექნოლოგიის ეფექტიანობა, ხოლო მომავალი წლიდან დაიწყება ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე მუშაობა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინდუსტრიული პარტნიორის მოძიება.

Nanofluids პროექტი ფოკუსირებულია გარემოსდაცვითი და ქიმიური გამოყენებისთვის განკუთვნილი მცირე ზომის ნანონაწილაკების წარმოებაზე, რომელთა საბაზრო მოთხოვნა სამაგიდო კვლევამ დაადასტურა. 2025 წელს განხორციელდა წარმოების მეთოდის ოპტიმიზაცია სატესტო ლაბორატორიებში, თუმცა გამოვლინდა ნანონაწილაკების აგლომერაციისადმი მიდრეკილება, რომლის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი მეთოდოლოგია 2026 წლის დასაწყისში შემუშავდება.

ინოვაციური SME და R&D კომპანიის სტატუსები

ინოვაციური SME და R&D კომპანიის სტატუსები

2025 წელს "ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონში, შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა ასევე დამატებით კიდევ ორი სტატუსი "ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანია" და "კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანია", რაც მიზნად ისახავს ინოვაციებისა და R&D ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობას.

ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსი

ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსი განკუთვნილია მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებენ კვლევისა და განვითარებისკენ მიმართულ დანახარჯებს, რომელიც შემოსავლების მინიმუმ 5%-ს, არანაკლებ 100,000 ლარს შეადგენს. ამასთან აკმაყოფილებს დამატებით ერთ-ერთ პირობას:

- 1) აქვს პატენტის ან დეპონირებული კომპიუტერული პროგრამა და ხარჯები მის განვითარებაზე მიმართული;
- 2) ხარჯები გაწეულია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისგან ან R&D კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტისგან მომსახურების შესასყიდად;
- 3) R&D ხარჯების აღრიცხვა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოს შესაბამისად.

სტატუსი ენიჭება 1 წლის ვადით და მისი მოპოვება შესაძლებელია მრავალჯერ, ხოლო მოქმედების მაქსიმალური პერიოდი შეზღუდული არ არის.

სტატუსის მფლობელ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ მოგების განაწილების შემთხვევაში, მოგების გადასახადით დასაბეგრი მოცულობა შეიმცირონ R&D ხარჯების სამმაგი ოდენობით ან მოგების რეინვესტირებისას მიიღონ გრანტი ხარჯების 20%-ის ოდენობით, არაუმეტეს 100,000 ლარისა.

კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსი

კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსი განკუთვნილია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც შემოსავლების 80%-ს იღებენ „კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში“ საქმიანობიდან. სტატუსი ენიჭება 1 წლის ვადით, მისი მოქმედების პერიოდი შეზღუდული არ არის და სტატუსის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. აღნიშნული სტატუსის მქონე კომპანიები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით, რომელიც საშემოსავლო და მოგების გადასახადის 5%-იანი განაკვეთით განისაზღვრება.

აღნიშნულ სტატუსებზე 2025 წელს განაცხადები არ შემოსულა.



2026 წლის სტრატეგიული ხედვა

2026 წელს სააგენტო მიზნად ისახავს საქართველოს პოზიციის განმტკიცებას რეგიონულ ინოვაციურ და ტექნოლოგიურ ცენტრად. სააგენტოს ხედვა ეფუძნება იდეას, რომ ეკოსისტემის მდგრადი განვითარება მოითხოვს კოორდინირებულ, გრძელვადიან მიდგომას, რომელიც ადრეული ეტაპიდანვე უჭერს მხარს ტალანტებს, ეხმარება იდეების სიცოცხლისუნარიან პროექტებად გადაქცევაში და ქმნის პირობებს სტარტაპების მდგრადი ზრდისთვის. ეს ხედვა ასევე ითვალისწინებს ინოვაციური შესაძლებლობების გეოგრაფიულ გაფართოებას, ტექნოლოგიური განათლების ხელმისაწვდომობისა და საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაციის ზრდას.

2026 წელს სააგენტო კვლავ განაგრძობს სამი პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობას: სტარტაპ-ეკოსისტემის გაძლიერება, ტექნოლოგიური და ინოვაციური საზოგადოებისა და R&D ეკოსისტემის განვითარება. მათ შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულ პროექტს წარმოადგენს ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის გახსნა, რომელიც ქვეყნის ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. ჰაბი განთავსდება ქუთაისში, პარლამენტის ყოფილ შენობაში და იქნება მულტიფუნქციური ცენტრი, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს მრავალ სტრატეგიულ კომპონენტს: ამიერკავკასიაში ერთადერთ ინტერაქციულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მუზეუმს, TUMO-ს საერთაშორისო სკოლას, საერთო სამუშაო სივრცეს, საკონფერენციო დარბაზებს, VR/AR Gaming ლაბორატორიას, აგრეთვე ელექტრონიკის, რობოტიკის, დრონების, IoT, STEAM და სამრეწველო ინოვაციების (FabLab) ექსპერიმენტულ ლაბორატორიებს.

ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით, ჰაბში განთავსდება ქართული ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის მძლავრი მონაცემთა ცენტრი, AI-ს ეგრეთ წოდებული ექსპლენს-ცენტრი და TU-MO-ს კრეატიული ტექნოლოგიების და AI კომპეტენციების ცენტრი, რაც ქუთაისის მოსახლეობას უნიკალურ შესაძლებლობას მისცემს, ჩაერთოს მსოფლიო ტექნოლოგიურ კვლევებში და ადგილობრივი ადამიანური კაპიტალი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული.

სტრატეგიული ხედვის პრაქტიკულ განხორციელებას 2026 წლის შიდა სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს, რომლის თითოეული აქტივობა დაკავშირებულია კონკრეტულ შედეგის ინდიკატორთან, განხორციელების ვადასთან და პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულთან, აქსელერატორებთან, მუნიციპალიტეტებთან, უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო კონსორციუმებთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. 2026 წელი სააგენტოს გრძელვადიანი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია ეკოსისტემის საფუძვლების გამყარება მდგრადი ზრდის, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაღრმავებისა და საერთაშორისო ჩართულობის გაფართოების უზრუნველსაყოფად, ინკლუზიურობის, რეგიონული თანასწორობის, საერთაშორისო გახსნილობისა და შედეგებზე ორიენტაციის პრინციპებზე დაყრდნობით.

